საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 139

20 11 წ. "18" 08

ქ. თბილისი

შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიისათვის" ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის" მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 201946680) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს №16 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი
ანა კლდიაშვილი